საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის № 174 შაბათი, თებერვლის 17 (30) 1918 წ. № 174

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

გერმანელები პეტერბურგს უახლოვდებიან. მობილიზაცია მისთვის ... სეთისაგან ახალ ადგილებს.—ხმებია, ინგლისის ჯარი კავკასიისკენ მოდისო.—ტრაპიზონში საარტილერიო საწყობები აფეთქებულა.—სეიმში ფრაქციების წარმომადგენლებმა საპროგრამო სიტყვები წარმოსთქვეს. საზავო კომისიამ შეიმუშავა დებულებანი ოსმალეთთან მოლაპარაკებისა.—ახალციხიდან სამწუხარო ამბები მოვიდა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი ხშირადგამოცხადებული განცხადებისა ზომაზე დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 ხაზის შემდეგ ხშირადგამოცხ. განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. ... „ნადეჟდა") მარჯანის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დაბეჭდვით განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხო ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", почт. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

---


გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ელიკო, ნიკო, ანნა, თამარ და მამო რუსიშვილები და რძალი ელენე რუსიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი საყვარელი და დაუვიწყარი მამიდაშვილის

## გიორგი (გოლა) თევდორეს ძის უთმელიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 18 თებერვალს, თხინვალის შესახვევი № 11, სამების ეკლესიაში. დასაფლავება მოხდება წმ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

უზომოთ დამწუხრებულნი ნინო დურმიშხანის ასული მაქარაშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად გარდაცვალებულის ძვირფასი შვილის, ქართულ სამთო ბატარეის პოდპორუჩიკის ტფ. პოლიტეხნიკუმის სტუდენტის

## ნიკოლოზ (ნიკუშა) ილიას ძე მაქარაშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას თებერვლის 18, ქვაშვეთის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 ს. 203

ეფემია გრიგოლის ასული და დავით გრიგოლის ძე გიორგიევი, ნინო გრიგოლის ასული უდრელიძე შვილებითურთ და ელენე გრიგოლის ასული ბაირამაშვილი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს უეცრად გარდაცვალებას-ქალაქ ბაქოში 6 თებერვალს დაუვიწყარ ძმის და ბიძისას

## მიხეილ გიორგის ძის გიორგიევისას.

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ტფილისში, კალოუბნის ეკლესიაში დღეს, 17 თებერვალს. წირვა დაიწყება 10 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე. 204

კვირას, თებერვლის 18-სა ს. ბორტაში ტრაგიკულად მოკლულის

## მიხეილ ესტატეს ძე მალალაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა ნინო ვლადიმერის ასული და და სოფიო ესტატეს ასული მალალაშვილი. პანაშვიდი დაიწყება 12½ ს. 214

გულდაჩაგრულნი და ობლადდარჩენილნი შვილები დარია, ზაქარია და ზურაბი, დანი და სიძენი: ქეთევან და დიმიტრი თაქთაქიშვილნი შვილებითურთ, ანნა და კოტე (ნიკო) ზალდასტანიშვილნი შვილებითურთ, სოფიო და ეკა ნაცვლიშვილნი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ვერაგულად მოკვლას სოფელ ზედა ხვედურეთში

## გიორგი ზაქარიას ძე და მეუღლე თეკლე ზურაბის ასული ციციშვილებისას.

წირვა და 15 დღის პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 18 თებერვალს, 1½ საათზედ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 212

იოსებ მერაბის ძე ცოლით და შვილებით, თამარ ალექსანდრეს ასული ნარაკიძე ქმრით, მიხეილ არქიპეს ძე ცოლით და გიორგი არქიპეს ძე ცოლით ტატიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 18 მარტს, ქვაშვეთის ეკლესიაში პირველ საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ვერაგულად მოკლულ

## დარია მერაბის ასულ ციციშვილის

სულის მოსახსენებლად. 216

დიდათ შეწუხებულნი ნინო გიორგის ასული, თამარ და ეთერ მიხეილის ასულნი, დედა, დები და ძმანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი უძვირფასეს მეუღლის, მეორეთ საყვარელ მამის და დანარჩენი დაუვიწყარ ძმის

## მიხეილ ადამის ძის ვარსიმაშვილის

ტრაგიკულ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე ექვსის ნახევარ საათზე. ტუხჩოვის ქუჩა № 12. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 215

სრულუფლებიანი ქალ-ვაჟთა

## გიმნაზია

ი. მ. მაჩაიძისა,

აცხადებს, რომ მარტის 1-ლს იხსნება 6, 7, 8 კლასები.

მოწაფეები მიიღებიან ეგზამენით და უეგზამენოთ, თუ წარმოადგენს მოწმობას. ადრესი: ველაბრის ქუჩა 10, შესავალი ველაბრის შესახვევი 3, საკუთარი სახლი. თხოვნების მიიღება 9—1 საათამდის. 4—5 ს. დამაარსებლის ბინაზე მიხეილოვის ქუჩა № 25, შესავალი ალექსეევის ქუჩიდან № 5. 1076

ქართ. დრამა. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 53

ორშაბათს 19 თებერვალს ტფ. ქარ. დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ვალ. გუნას

## ძალა აღმართსა ხნავს

4 მოქმ.

მონაწილეობენ ქალნი: ქიქოძე ა., იმერელი ა., ჩერქეზიშვილი მ., ვაჟნი: ზარდალიშვილი ი., იმედაშვილი ა., შალიკაშვილი ვალ. თარალაშვილი. დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. 1071 რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

## ქართული კლუბი

დღეს, 17 თებერვალს, „განათლების"-ის საზ. ქალთა სემინარიის სასარგებლოთ

## გაიმართება კაბარე

და წარმოდგენა: ოპერა „პაიაცი", ბალეტი და

## „ჯერ დიახოცნენ მერე დაქორწილდნენ"

ჩერქეზიშვილის, ტასო აბაშიძის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით.

დასაწყისი 7 ნახ. საათ. 1077

ვინაიდან დიდუბის ეკლესიის სამრევლო

## საბჭო

ახალი წესდების ძალით უკვე შეუდგა სამრევლო წიგნის (სიის) შედგენას, ამისთვის იგი პატივისცემით აუწყებს ყველა მრევლთაგანს—კეთილ ინებონ და ჩაეწერნენ ამ სიაში, რომლის წარმოება დასრულებამდე მინდობილი აქვს მთავარ დიაკონს გ. კონტრიძეს და მსახურს ვ. სოხაძეს ადგილობრივ ჩასაწერად.

ამათ გარდა ამის შესახებ განცხადება მიიღება კრებულისა და საბჭოს ყოველ წევრთან დიდუბის ეკლესიაში. 208

## ქართული კლუბი

კვირას, თებერვლის 18

ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კომიტეტის მიერ

გაიმართება

## ორი ლექცია—კაბათი

1. გ. ქიქოძე—რევოლიუცია და საქართველო. 2. ა. ასათიანი—სოციალისტური დემოკრატიის შემოქმედება.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

ბილეთების მიღება შეიძლება მთავარ კომიტეტში. 209

ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო

## დეპუტატების საბჭო

სთხოვს ტფილისის მანუფაქტურისტებს მობრძანდნენ კვირას, თებერვლის თვრამეტსა დილის თერთმეტ საათზე ბირჟის ბინაზე (პუშკინის ქ., 5) საბჭოს ერთის დეპუტატის და ერთი მისი მოადგილის ასარჩევად მდგომარე 1918 წლისთვის.

## ტფ. ქართველ ვაჭარ-მრეწველთა დროებითი საბჭო

იწვევს ქართველ ვაჭარ-მრეწველთა საერთო კრებაზე კვირას, 18 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ახალ კლუბის შენობაში.

### კრების საგნები:

1. დღევანდელი მომენტი.
2. შეკავშირება ქართველ ვაჭარ-მრეწველებისა.
3. დადასტურება საბჭოს მიერ გაწეული ფულისა.



## დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო. შენობა, ტელეფ. 19—00

დღეს, 17 თებერვალს, გაიმართება

## ჯერ უნახავი ბენეფისი

ქილინის, ბრონენოკცევის და იან იაგუარის. დღეს პირველად ინდოური ბოქსი გურ-გურ დღეს ოლიმპიური თამაშობა. ჭიდაობენ: 1. კავკასიური ჭიდაობა. (პრემია 500 მან.) მედელაური—ურს იარჩაკი, 2. ქილინი—იაგუარ, 3. ჯოე-მორა—ვანო მედილაური, 4. ურს იარჩაკი—დიბრინია, 5. ზბიშკო—რაადო. 210


---

**ტფილისი, 17 თებერვალი 1918 წ.**

**ამიერკავკასიის სეიმი და საქართველო.**

ცენტრალისტური ექსპერიმენტების მოსახდენად შეწუხებულებს კიდევ ერთი დაწესებულება გაუჩნდათ—ამიერკავკასიის სეიმი. ცენტრალიზმმა დაღუპა რუსეთი და, უეჭველია, იგივე ცენტრალიზმი დაღუპავს ამიერკავკასიასაც. დაემხო თვითმპყრობელობა, დაემხო საკოალიციო სამინისტრო, დღეს რუსეთის სათავეში სდგანან ბოლშევიკები; რევოლიუციის მსვლელობამ ათასნაირად შესცვალა რუსეთის სახე, მაგრამ ერთი რამ მაინც უცვლელად რჩება: საშინელი და რუსეთის რევოლიუციის დამღუპველი ცენტრალიზმი. სულ სხვანაირ მიმდინარეობას მიიღებდა რუსეთის რევოლიუცია, თავიდანვე სათანადო ანგარიში რომ გაეწიათ იმ სარევოლიუციო შემოქმედებისთვის, რომელიც ადგილობრივ სწარმოებს ხოლმე სარევოლიუციო ლოზუნგების ცხოვრებაში გასატარებლად. რუსეთის არც ერთმა მთავრობამ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და რუსეთიც დაიღუპა. თვითმპყრობელობიდან დაწყებული ლენინამდე,—ყველა უკიდურესი ცენტრალისტი იყო. ყველას ხიშტითა ჰქონდა ადგილობრივი სარევოლიუციო შემოქმედების ჩახრჩობა, ხიშტით ახრჩობდა ეროვნულ თვითგამორკვევას მეფე, ცეცხლითა და მახვილით ამშვიდებდა ფინლანდიასა და უკრაინას კერენსკი, ცენტრალიზმის ... სტომაქს ანაცვალა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევა ლენინის მთავრობამ.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მაშინაც კი, როდესაც ფედერალიზმი ოფიციალურად იქმნა აღიარებული, ძირითადი პრინციპები ფედერალიზმისა გაუგებარი რჩება უმრავლესობისათვის. სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად აღიარა. რასა ნიშნავს ესა? იმას, რომ დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს თვითმმართველი ერთეულები, რომლებიც მერე ფედერატიულად დაუკავშირდებიან ერთმანეთს. ფედერალიზმსა და დეცენტრალიზმს შუა დიდი პრინციპიალური განსხვავებაა. დეცენტრალიზმი ნიშნავს ზოგიერთ სახელმწიფოებრივი უფლებების გადაცემას ცენტრის მიერ თვითმმართველ ერთეულებზე. ცენტრი აძლევს თვითმმართველ ერთეულებს იმას, რის მიცემაც მას საჭიროდ და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სასარგებლოდ მიაჩნიათ. აქ უფლების მატარებელი და საწყისია ცენტრია. ფედერალიზმი კი სულ სხვანაირი დაწესებულებაა. აქ უფლების მატარებელია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული; დამახასიათებელი თვისება ფედერალიზმისა სწორედ თვითმმართველი ერთეულის სრული სუვერენობაა.

თვითმმართველი ერთეულები, ფედერატიული კავშირის შეკვრის დროს, მხოლოდ იმ ფუნქციებს აძლევს ცენტრს, რომლებიც თვით მას მიაჩნია საჭიროდ საერთო ინტერესების ... ფედერაციაში უფლების წყარო და თვითმმართველ-

...ი ერთეული, ცენტრალისტურ სახელმწიფოში—ცენტრი.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი დამფუძნებელ კრების მიერ ფედერატიული რესპუბლიკა არის გამოცხადებული და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში თითქმის ყველა მომქმედი პოლიტიკური პარტია ფედერალისტურია, ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრივი საალმშენებლო მუშაობა სწარმოებს არა ფედერატიულად, არამედ ცენტრალისტურად. როდესაც პირველად დაიწყეს ლაპარაკი ამიერკავკასიის სეიმის შესახებ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეს გზა სწორე გზა არ არის. ამიერკავკასიის სეიმი უნდა ყოფილიყო სახურავი იმ სახელმწიფოებსავით საალმშენებლო მუშაობისა, რომელიც თვითეულ თვითმართველ ერთეულში გარკვეულ, ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდა. ერთის მხრივ ეროვნული საბჭოების დაარსება და მეორე მხრით მენშევიკების განცხადება,—აუცილებლად უნდა მოხდეს ეროვნულ-ტერიტორიალური გადამიჯვნა ამიერკავკასიისას, საბუთს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ მძიმედ, მაგრამ მაინც სისტემატიური აუცილებლობით ამიერკავკასიის მმართველობა უახლოვდებოდა იმ გზას, რომელსაც საბოლოოდ უნდა დაემკვიდრებინა ამიერკავკასიაში დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკა.

მაგრამ გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს, აღმოჩნდა, რომ ეროვნული თვითგამორკვევა, ეროვნული სახელმწიფოებრივი საალმაშენებლო მუშაობა ჩვენებური სოციალ-დემოკრატებისთვის ფუქცია ყოფილა. ნოე ჟორდანიას სიტყვები, წარმოთქმული ეროვნულ ყრილობაზე, ცარიელ სიტყვად დარჩა, რომელსაც სრულიად არავითარი საქმე არ მოჰყვა. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შემდეგშიაც ამ სიტყვას არავითარი საქმე არ მოჰყვება; ან, უკეთეს შემთხვევაში, თუ რაიმე საქმე მოჰყვა, ამ საქმეს სრულიად არაფერი არ ექნება საერთო არც ეროვნულ თვითგამორკვევასთან, არც იმ ფედერალიზმთან, რომელიც სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო, არც იმ იმედებთან, რომლებსაც ჩვენი საზოგადოების ფართო მასსა ამყარებს ამიერკავკასიის შემოქმედებაზე. მენშევიკები ძველებური ტიპის ცენტრალისტებად დარჩნენ, მხოლოდ რევოლუციის განვლებამ მათ ცენტრალისტურ სარბიელად ამიერკავკასია დაუტოვა. თუ სეიმი საბოლოოდ ამ ნაირ გზას შერჩა, გადაუწყვეტელი დარჩება როგორც ეროვნული საკითხი, ისე ბედი ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველი ერთეულებისა.

ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ განვაცხადოთ, რომ უპირველესად ყოვლისა სეიმმა უნდა გადასწყვიტოს საკითხი ეროვნულ-ტერიტორიალური გადამიჯვნისა; დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს წესი ეროვნებათა საზოგადოდ და საქართველოს კერძოდ დამფუძნებელი კრების მოწვევისა, დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას საქართველოს მთავრობა, რომლის ხელშიაც გადავა მთელი ძალა-უფლება საქართველოს ტერიტორიაზე. თუ ამიერკავკასიის სეიმმა თითონ დაიწყო ერთა თვითგამორკვევა, თუ საქართველოს საშუალება არ მიეცა თავის ქვეყანას თითონ მოუაროს, სარევოლუციო ლოზუნგები კვლავ დასამარებულად უნდა ჩაითვალოს და თვით საქართველო კი—დაღუპულად.

## ამხ. გიორგი ლასხიშვილის სიტყვა

(ამიერკავკასიის სეიმზე წარმოთქმული)

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნი ამიერკავკასიის სეიმს. უნდა ვსთქვა, რომ მაღელვებს ის აზრი და სრულ ზნეობრივ კმაყოფილებას ვგრძნობ იმის გამო, რომ ვლაპარაკობ ამიერკავკასიის სეიმის ტრიბუნიდან, კავკასიის ერთა წარმომადგენლების ტრიბუნიდან. ჩემი ცხოვრების რიჟრაჟზე, ახალგაზრდობის შორეულ დღეებში, მე ვოცნებობდი რუსეთის დიდ რევოლუციაზე, რომელსაც საშინელ რეჟიმისაგან და ტანჯვისაგან უნდა გაენთავისუფლებინა მთელი რუსეთი და ჩემი სათაყვანებელი სამშობლოც საქართველო. ამ რევოლუციისთვის ვმუშაობდი, მაგრამ უნდა გამოვტყდე, არ მოველოდი რომ ამ დღესაც მოვესწრებოდი. აილდა-აბობოქდა დიდებუ[...] [illegible] ძლიერ ძვლებიდან წამოდგა მკაცრ. შურისმძიებელი და რაც უნდა მოხდეს ხვალ, მაინც მტკიცედ მწამს, რომ ჭეშმარიტ თავისუფლების მზე მალე აღმობრწყინდება და გაუნათებს რუსეთის დატანჯულ ერებს (ტაშის ცემა) მე ზნეობრივ კმაყოფილებას ვგრძნობ კიდევ იმიტომ, რომ ვხედავ ჩვენი პარტიის იდეების სრულ გამარჯვებას,—ჩვენი პარტიისას, რომელმაც 18 წლის წინად გამოაცხადა, რომ რუსეთის პოლიტიკური წეს-წყობილება შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ ერთა ფედერატიული კავშირი, რომ ერთად ერთი გზა პოლიტიკურ და ეროვნულ უსამართლოების მოსასპობად არის თავისუფალ ერთა დემოკრატიული კავშირი.

რასაკვირველია, ამიერკავკასიის ეს სეიმი ის არ არის, რაც ჩვენ გვინდა და რასაც ჩვენ ვფიქრობთ. სოციალისტ ფედერალისტები ამას მხოლოდ დასაწყისად აღიარებენ. ვამბობ დასაწყისად და აქვე უკვე ვარკვევ ჩვენი პარტიის აზრს ამ სეიმის თაობაზე. ჩვენის აზრით, კავკასიის ერთა კავშირი ზეიდან კი არ უნდა განხორციელდეს, არამედ ქვეიდან უნდა აშენდეს: ჯერ უნდა ერებმა მოახდინონ თვითგამორკვევა, შეადგინონ თავიანთი ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიები და შემდეგ ამ ავტონომიებმა უნდა გამოჰყონ ფედერატიული სეიმი და მმართველობა. მაგრამ რევოლუციის მსვლელობამ, უკანასკნელი ხანის ამბებმა იძულებულ გვყვეს საჩქაროდ ამიერკავკასიის საერთო რაიმე დაწესებულების შექმნა და ჩვენ ს.-ფედერალისტები მთელის ძალღონით მხარს ვუჭერთ ამ სეიმს, მაგრამ როგორც დროებითს, გარდამავალ კომბინაციას, რომელმაც უნდა მოსპოს ზოგი საჩქარო დავალება და შემდეგ ამისა ადგილი დაუთმოს ავტონომიურ ერთეულების მიერ შექმნილ ფედერატიულ სეიმს. ის რაც ჩვენა გვაქვს ეხლა, ეს სეიმი, მხოლოდ შენობის სახურავია, ცუდათ აგებულ შენობის სახურავი, შემდეგ კი ავაგოთ მკვიდრ საძირკველზე ახალი შენობა, რომელშიც თავისუფლად განვითარდებიან თავისუფალი ერები. ვინც ასე არ ფიქრობს, ვისაც ჰგონია, რომ ეს სეიმი მუდმივი საკანონმდებლო დაწესებულებაა მთელის ამიერკავკასიისთვის, იმას ჩვენ ვეტყვით, რომ ის შემცდარია, რომ ეს სეიმი მხოლოდ კომბინაცია დროებითი, კომბინაცია მთავრობის ჩამოყალიბებისათვის, რომ ეს კომბინაციაც მალე დაიშლება, როგორც ამ რევოლუციის ხანაში სხვა ამგვარი კომბინაციები დაიშალა... რატომ? იმიტომ, რომ არ არსებობს, არ არის ერთიანი კავკასია ან ამიერკავკასია. ის, რასაც ჩვენ კავკასიას ვუძახით მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია ან, თუ გნებავთ, ძველი რეჟიმის ადმინისტრაციული ტერმინი. ამ ვრცელ ტერიტორიაზე ერთად ცხოვრობს სხვა და სხვა ერი, სხვა და სხვა კულტურისა, სხვა და სხვა ზნე-ჩვეულებისა, სხვა და სხვა სოციალურ ყოფა ცხოვრებისა. ერთიანი კანონმდებლობა და ერთიანი მართვა გამგეობა ამ ერებისა შეუძლებელია ეს იქნებოდა ერთ და იმავე ალაგას ტორტმანი, საბოტაჟი ერთი ერისა მეორეს წინააღმდეგ. კანონმდებელი იძულებული იქნებოდა ერთიდა იგივე კანონი სამსა და ოთხის რედაქციით დაეწერა, გამონაკლისები დაერთო ყოველ კანონისათვის ამა თუ იმ ერისათვის. გაიხსენეთ მაგალითისათვის, რომ ისეთს უნივერსალურს კანონშიაც-კი, როგორიც არის საყოველთაო საარჩევნო უფლება, იქაც-კი საჭირო შეიქნა გამონაკლისის შეტანა მცხოვრებთა ერთის ნაწილისათვის, მართალია ეს გამონაკლისი ტეხნიური ხასიათისაა, მაგრამ მაინც ხომ გამონაკლისია.

ამით მე იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს ამიერ-კავკასიის ერებს საერთო ინტერესები არ ჰქონდეს; არა! ასეთი ინტერესები არის, თუნდა მაგალითად ისეთი მძლავრი ინტერესები როგორიცაა ეკონომიური და ფინანსიური ხასიათის ინტერესებია მაგრამ ამ ინტერესების დასაკმაყოფილებლად და მათ გასაძღოლად საჭიროა ფედერატიული კანონმდებლობა და ფედერალური მმართველობა, რომელნიც აღორძინდებიან, აშენდებიან ეროვნულ ტერიტორიალურ ერთეულების არჩევით. ის-კი, რაც ეხლა გვაქვს, ეს სეიმი, როგორც ვთქვი, დროებითია და შექმნილია, შეკოწიწებულია ხელოვნურად საჩქარო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

რომელია ეს საჭიროებანი, რომელთათვის შექმნილია ეს სეიმი?

უპირველესად ყოვლისა ამ სეიმმა [illegible] ისეთი ცხადი საჭიროებაა, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არაა. ჩვენ პრინციპიალური წინააღმდეგნი ვართ ომისა, მაგრამ ვინც როგორც უნდა ჰფიქრობდეს ამის შესახებ სულერთია, ერთში ყველა დარწმუნებულია: ჩვენ იძულებულნი ვართ ზავი შევკრათ, ამას მოითხოვს გარემოება და ჩვენი შინაური მდგომარეობა. ზავის პირობების შესახებ აქ არაფერს ვიტყვი, ვიტყვი მხოლოდ რომ ზავი უნდა იყოს ღირსეული; სეიმი, რომელიც ამიერ-კავკასიის სარევოლუციო დემოკრატიის წარმომადგენელი სხვანაირ ზავს ვერ შეკრავს თუ არა ღირსეულს და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულს (ტაშისცემა).

მეორე უდიდესი საქმე, რომელიც ამ სეიმმა უნდა განახორციელოს არის ამიერ კავკასიის საერთო ძლიერ და ავტორიტეტულ მთავრობის შექმნა. ეს უძნელესი საქმეა რევოლუციის ხანაში აქ უნდა განმეორებით ვთქვა, რომ ნამდვილ და ძლიერ მთავრობის შექმნა მხოლოდ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიებს შეუძლიათ (ტაშის ცემა), მაგრამ სეიმი მაინც უნდა შეეცადოს ამგვარ მთავრობის შექმნას, რადგან ამას მოითხოვს მომენტი. ხომ ხედავთ, როგორ ძლიერდება ანარქია? ანარქიის კვანძი კისეროს თანდათან უახლოვდება და ლამის არის წაგვახრჩოს; ანარქიის ტალღა წალეკვას უპირებს რევოლუციის ყველა დიდებულ დაპყრობა-მოპოვებათ. თუ დროზე ამას არ გავუმკლავდით, ცეცხლი მოეკიდება მთელ ჩვენ ქვეყანას და განსაცდელში ჩაგვაგდებს. ძლიერ მთავრობის შედგენის დროს ანგარიში უნდა გავუწიოთ ერთ გარემოებას. სეიმის დეპუტატებო! თქვენთვის საკვირველი არ უნდა იყოს ის საოცარი იჭვიანობა, რომლით სარევოლუციო ორგანიზაციები და ცენტრები იცავენ რევოლუციის მშვენიერს შვილს—თავისუფლებას. დიდია ამ ცენტრებისა და ორგანიზაციების როლი რევოლუციის დაცვის საქმეში, მაგრამ დროა უფრო მიზანშესაფერისს დაცვაზე ვიზრუნოთ! სარევოლუციო ცენტრებმა და ორგანიზაციებმა შემდეგშიაც დიდი როლი უნდა ითამაშონ რევოლუციის დაპყრობათა დაცვის საქმეში, მაგრამ არა როგორც აღმასრულებელ მმართველობამ, არამედ როგორც დემოკრატიულ საზოგადო აზროვნების რეგულიატორმა, რეგულიატორმა, რომლის განკარგულებაშია მძლავრი იარაღი კონტროლისა და მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენისა. თვით მთავრობა კი, აღმასრულებელი უფლება თავისუფალი უნდა იყოს თავის თავის მოქმედებაში და პასუხისმგებელი მხოლოდ და მხოლოდ სეიმის წინაშე. ამ მხრით საჭიროა ჩვენ დაუყონებლივ გადავიდეთ წმინდა პარლამენტარულს რეჟიმზე, სადაც კანონმდებელია მხოლოდ სეიმი, ხოლო აღმასრულებელი—მხოლოდ მისმიერ შექმნილი და იმის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. თუ ასეთი ერთიანი, მძლავრი და ავტორიტეტული მთავრობა არ გავიჩინეთ, ქვეყანას დიდ გასაჭირში ჩავაგდებთ და კარგი იქნება თუ ფიზიკურად მაინც გადავრჩებით, სხვას კი ყველაფერს დავკარგავთ...

მაგრამ, ვერავითარი მძლავრი მთავრობა ანარქიისაგან ვერ გვიხსნის, თუ ნიადაგი არ მოისპო, რომელზედაც ანარქია აღმოცენდება ხოლმე. ჩვენ საერთოო დავაგვიანეთ ზოგი საჭირო რეფორმა. აუცილებლად საჭიროა მალე შევქნათ ეროვნული პარლამენტები, რომელნიც შესძლებენ სახელმწიფოებრივ ორგანიულს მუშაობას, პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმების განხორციელებას. მაგრამ არის ერთი რეფორმა, რომლის დაყოვნება საშიშია რევოლუციისათვის. მე ვამბობ აგრარულ რეფორმის შესახებ. აგრარულ რეფორმის რადიკალური გარდაწყვეტა ამ რევოლუციამ უნდა უთუოდ მოახდინოს. ჩვენის, ს.-ფედერალისტების სქემით, ამ რეფორმის ძირითადი მუხლები: მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა და საზოგადოებრივ მეურნეობის მოწყობა, უნდა ეკისრა საერთო დამფუძნებელ კრებას; ხოლო მისი დეტალიზაცია და ცხოვრებაში გატარება უნდა თავს იდვან ეროვნულმა სეიმებმა და მთავრობებმა. ეს რთული საქმეა და დროს მოითხოვს. მაგრამ, საჭიროა პირველი ნაბიჯი ეხლავ იქნას გადადგმული და ამიტომ ჩვენ ამ სეიმს ვაკისრებთ თუნდაც იმ დეკრეტის აღსრულებას, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა.

შემდეგ, ამ სეიმის უდიდეს საგნად ჩვენ ვსახავთ კავკასიის ერთა გადამიჯვნის საქმეს.

დადგა დრო ვიფიქროთ, რომ გადამიჯვნის საკითხის გადადება აღარ შეიძლება. აღარ შეიძლება მუდამ იმ საშინელ ფიქრსა და მოლოდინში ვიყოთ, რომ მეზობელ ერთა შორის სისხლი დაიღვრება. დადგა დრო განვისაზღვროთ ჩვენ ჩვენი ტერიტორია, დავასრულოთ ჩვენი დავა ტერიტორიის გამო. უამისოდ აღარ შეიძლება მშვიდობიანი ცხოვრება, აღარ შეიძლება მოხდეს თვითგამორკვევა, მოხდეს ავტონომიების ჩამოყალიბება. ჩვენი პარტია კარგა ხანია მოუწოდებს მეზობელ ერებს და გადამიჯვნის დაწყების საჭიროებაზე უთითებს. მაგრამ, ამ საკითხში აქამომდე არაფერი გაკეთებულა. დაყოვნება ეხლა, ამ წუთში, პირდაპირ დანაშაულობა იქნება მომავალის წინაშე. მოქალაქე დეპუტატებო! იწყება ახალი ისტორია ჩვენი ძველი კავკასიისა. თქვენი სახელები აღბეჭდილი იქნება ამ ახალ ისტორიის პირველ ფურცლებზე. და თუ გნებავთ, რომ ეს ფურცლები სპეტაკი იყოს და არ შეღებოს მოძმეთა სისხლით, მიიღეთ ყოველი ღონე და დაასრულეთ გადამიჯვნის საქმე! ჩვენ, ს.-ფედერალისტები, გადამიჯვნას საფუძვლად ვუდებთ პრინციპს რეალურ მოსახლეობისას. ეთნიურ პრინციპს; თან შეგვაქვს ერთი კორექტივი: მცხოვრებთა დაკითხვა, რეფერენდუმი იმ განაპირა ადგილებში, რომელნიც ეროვნულ ტერიტორიის საზღვარზეა. ეს პრინციპი აადვილებს ერთა გადამიჯვნის საკითხს და ურთიერთ შესაძლებელი დათმობით ჩვენ შევიძლებთ ამ დაწყევლილ პირობების გადაჭრას. მიუხედავად საკითხის სიძნელისა, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე შეფერხებულია ამ საქმის კეთილად დაბოლოვება, მე მწამს, რომ, თუ სეიმმა გულწრფელად მოისურვა მისი ასრულება, ჩვენთვის ამ საშინელ საკითხს ბოლო მოეღება!..

მაშინ-კი, როცა ეს პრობლემა გადაწყდება, დაიმსხვრევა უკანასკნელი დაბრკოლება ეროვნულ ერთეულების ჩამოყალიბებისათვის და განხორციელდება აძერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ავტონომიები! (ტაშისცემა).

ამით, ჩემის რწმენით, უნდა გათავდეს ამიერ-კავკასიის სეიმის საქმეც. მაშინ დადგება დრო ეროვნულ-ტერიტორიალურ დამფუძნებელ კრებების მოწვევისა, რომელნიც შეიმუშავებენ დემოკრატიულ კონსტიტუციებს თავიანთ ავტონომიებისას და დელეგაციის სახით შეჰქმნიან ახალ ფედერალურს სეიმს. რაც შეეხება საკითხ მომავლის შესახებ: დარჩება ამიერკავკასია, როგორც კონფედერაცია, სამუდამოდ დამოუკიდებელი თუ შეუერთდება რუსეთის ფედერაციას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წავა საქმე თვით რუსეთისა და ამაზე ამ ჟამად არცა ღირს ფიქრი.

ჩვენ, ს.-ფედერალისტები, ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ დიად ისტორიულ ხანაში გადაწყდება და აღსრულდება ამ რევოლუციის უპირველესი მიზნები: განხორციელება პოლიტიკურის და ეროვნულის სამართლიანობისა, განხორციელება დიდ სოციალურ რეფორმებისა. ამით-კი გაიწმინდება გზა შემდეგი მუშაობისათვის მშრომელ ხალხის ინტერესების დასაცავად, სოციალურ სამართლიანობის სამეფოს მოსაახლოვებლად და სოციალიზმის გასამარჯვებლად (ტაშისცემა).

## ომი თუ ზავი.

შვეციის გაზეთებს ატყობინებენ ინგლისისა და ამერიკიდან, რომ გერმანიის და ბოლშევიკები. მორიგება ვერ მოხდა შემდეგის მიზეზით: გარდა სამხედრო, ტერიტორიალურ და ეკონომიურ მოთხოვნილებათა გერმანიამ მოსთხოვა სახალხო კომისრების მთავრობას სამსახურიდან გადადგომა და ახალი შერეული მთავრობის შედგენა. ბოლშევიკებმა არ მიიღეს ეს უკანასკნელი პირობა და ამიტომ ჩაიშალა საზავო მოლაპარაკება.

რუმინიელები გენერალ შჩერბაჩოვის მეთაურობით ებრძვიან ბოლშევიკებს და წინ მოდიან აკერმანის და ბირზულის რაიონში. უკვე აიღეს ბენდერი და ტოროსპოლი.

ბაქოში ამ რამდენიმე დღის წინად ხმები გავრცელებულა, რომ პეტროგრადში დიდი არეულობა მოხდა იმის გამო, რომ ბოლშევიკები სამარცხვინო ზავის შეკვრას აპირებდნენ. ლენინის მთავრობა იძულებული იყო გადამდგარიყო. ხმებია აგრეთვე რომ პეტერბურგს, მოსკოვსა და ქალაქებში დიდი მონარქისტული მოძრაობა არისო,

გერმანელები ეხლა გაცილებით მეტს მოითხოვენ, ვიდრე ამას წინად. გერმანიის პროტექტორატს უნდა დაემორჩილოს ყველა ის ადგილები, სადაც არა რუსები (ველიკოროსები) მოსახლეობენ. სადაც გერმანული მკვიდრნი ბინადრობენ, ეს ადგილები პირდაპირ დაემორჩილება გერმანიას, ახალი საზღვარი გაივლის ფსკოვიდან სმოლენსკზე კიევამდის. კონტრიბუციის ნაცვლად გერმანელები მოითხოვენ რუსეთის სამხედრო ფლოტის გადაცემას.

ენზელში თავი მოიყარეს ინგლისელთა ძლიერმა რაზმებმა, რომლებიც პირველი საჭიროებისთანავე გადმოვლენ რუსეთის აძერბეიჯანში. ამბობენ რამდენიმე ათასი ინგლისელი ოდის ბაქოს გზით კავკასიისკენ. ავღანის ემირმა, რომელიც ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება, ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. ჩრდილო ინდოეთში ინგლისელები ახალ კორპუსებს ადგენენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან.

ოსმალეთის დელეგატებს სრული რწმუნებულობა არა აქვთ საზავო მოლაპარაკებისათვის. ტრაპიზონის დაჭერის შემდეგ ოსმალებს განზრახვა აქვთ უფრო გაბედული მოთხოვნილება წარმოადგინონ.

ამიერკავკასიის სეიმის კომისიამ შემდეგი ზოგადი დებულება შეიმუშავა ზავისთვის: 1. ზავი უნდა იყოს საბოლოო, 2. უნდა აღდგენილ იქნეს 1914 წ. საზღვრები, 3. ვთხოვოთ ოსმალეთს მიანიჭოს სომხეთს თვითგამორკვევის უფლება.

## რუსეთ-ოსმალეთის დელეგაციის სხდომა ბრესტ-ლიტოვსკში

პეტროგრადი. 28 იანვარი. სხდომა რუსეთ-ოსმალეთის დელეგაციისა შესდგა 3 თებერვალს. სხდომა დაიწყო ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარის ხაკი-ფაშას განცხადებით, სადაც მოხსენებული იყო, რომ ოსმალეთის დელეგაცია ამ სხდომაზე იმიტომ შეიკრიბა, რომ რუსეთის დელეგაციისთვის სრულ სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი წარედგინათ. მაგრამ ამისათვის, დაურთო ხაკი-ფაშამ, საჭიროა რამდენიმე საინფორმაციო ცნობის გადაცემა. „ოსმალეთის დელეგაციასო, განაცხადა ხაკი-ფაშამ, აქვს ცნობები ზოგიერთ ადგილიდან, რომ დროებით ზავის პირობები, რუსეთსა და ოსმალეთს შუა რომ არის დადებული, ალაგ-ალაგ ირღვევა. ხაკი-ფაშა აღნიშნავს, რომ ეგრედ წოდებული რუსეთის ჯარი სამხედრო მოქმედების თეატრიდან მიდის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სტოვებს მიწა წყალს და ზურგში ექცევა. რუსის ჯარისგან მიტოვებულ ადგილებს უჭერენ შეიარაღებული ბრბოები. ეს ბრბოები. რომელთა ნამდვილი შემადგენლობა გამოუცნობია, უეჭველად დაუდეგარ ელემენტებისგან შესდგება და ისინი ყოველგვარ სისასტიკეს სჩადიან. ხაკი-ფაშა აღნიშნავს, რომ ოსმალეთის პროვინციები დღეს-დღეობით რუსეთის პროტექტორატის ქვეშვე იმყოფებიან და ისინი ოსმალეთს იმავ სახით უნდა დაუბრუნდნენ, როგორც ოკუპაციამდე იყვნენ. შემდეგ იგი აღნიშნავს ოფიციალურ განცხადებას რუსის ჯარის ოსმალეთის პროვინციებიდან წამოსვლის შესახებ და რომ მკვიდრი რუსები არ მოდიან ხაკი ფაშა პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ მიმავალი რუსის ჯარები მიწა წყალს სხვა და სხვა. ეროვნულ ჯგუფებს აძლევენ, რომელთაც აქვთ პრეტენზია განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე უარჰყოფს იმ ცნობას, თითქოს ოტტომანურ მთავრობას სურდა კავკასიის ერებთან რაღაც ხელშეკრულებანი დაედო. მართლაც, ამბობს ხაკი-ფაშა, ძალიან საინტერესოა ვიცოდეთ ვის ეკუთვნის კავკასია? მას აქეთ, რაც გავიგეთ. რომ კავკასია რუსეთს ეკუთვნის, ჩვენ რომ აღვიაროთ კავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობა, მაშინ ტროცკისთან საოტტომანო მთავრობის სახელით წარდგენილს დეკლარაციას მნიშვნელობა არ ექნება იმიტომ, რომ ამ დეკლარაციაში ჩვენ მოვითხოვთ რუსეთის მთავრობამ თავის ვალი შეასრულოს. მაგრამ თუ ტროცკის უნდა სთქვას, რომ კავკასიაში დამოუკიდებელი მთავრობაა, რომელიც რუსეთის მთავრობას არ ემორჩილება, მაშინ ამ შემთხვევაში შეიქმნებოდა ისეთი ვითარება რის შესახებ ჩვენ კიდევ ფიქრი მოგვიხდებაო.

## უკანასკნელი ცნობები.

უკრაინელების საზავო დელეგაციის თავმჯდომარე ზატონსკი ატყობინებს გერმანიის და ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრებს და ბრესტ ლიტოვსკში გენერალ გოფმანს და რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარეს, რომ უკრაინის სეკრეტარიატას წარმომადგენლები კიევიდან ბრესტ-ლიტოვსკში მიდიან, რათა ხელი მოაწერონ იმ საზავო ხელშეკრულებას, რომელიც ავსტრიასთან და გერმანიასთან დასდო უფილმა კიევის რადამ.

—

სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტის მეორე ყრილობა პროტესტს აცხადებს სევასტოპოლში მომხდარ საშინელი ამბებს წინააღმდეგ და საჭიროდ სთვლის დაუყონებლივ მოხდეს საქმის გამოძიება, დამნაშავეთა გამოსარკვევად და დასასჯელად. ცენტროფლოტის თავმჯდომარე, საქმის გარჩევამდე, გადაყენებულია.

## ახალი ამბავი

✦ ახალციხიდან იტყობინებიან, რომ ყაჩაღთა ბრბოები გარს შემოერტყენ ზოგიერთ ქართველ სოფელს და გაანადგურეს ქართული პოლკის რაზმი თავისნებით წავიდა ამ სოფლების მასაშველებლად. შესაძლებელია სისხლის ღვრა. მიღებულია ზომები.

✦ ტრაპიზონი. გუშინ ტფილისში ხმები გავრცელდა, რომ ტრაპიზონში აფეთქდა საარტილერიო საწყობები. მოკლულია სამი ათასი კაცი. ქალაქი დაიჭირეს ოსმალეთის ჯარებმა და რეკვიზიცია გაუკეთეს მთელს სურსათს.

✦ 12 ეშელონის ბაქოსკენ გამგზავრება. გუშინ ბაქოსკენ მესამასე ვერსიდან უნდა გაეგზავნა 12 ეშელონი. ამის გამო მთელი დღე ეშელონებ[...] ჯგუფ-ჯგუფად ჰყოფდნენ 6 და ორ[...] მავლებს დაძიანადვე ჰგზავნიდნენ[...] სამასე ვერსზე. ეშელონებს წინ [...] ძღვება მაჰმადიანთა სადელეგატო მ[...] ტარებელი გენერალ შიხლინსკის და[...] მუსულმანთა ეშელონის მეთაურობით ამავე მატარებელს მოაბავდნენ ვაგონ[...] ბაქომდე, რომლითაც მიემგზავრებ[...] ინგლისის მისია.

✦ ა. ზურაბოვის ლექცია. ამას წინად პეტროგრადიდან დაბრუნებული წევრი დამფუძნებელ კრებისა ა. ზურაბოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პოლიტიკური ვითარებ[ა] რუსეთისა" კვირას, 18 თებერვალს, ქალთა კურსების შენობაში (გოლოვინის პრ., 10). დასაწყისი დღის 12 საათზე. ბილეთები მანეთიდან 5 მანეთამდე იყიდება გაზეთ „ბორბას" კანტორაში (სასახლის მოედანი, თამამშევის პასსაჟი, შტაბის პირდაპირ) დღის 9—2 ს. და საღამოს 6—8 ს., ხოლო ლექციის დღეს ქალთა კურსების შენობაში დილის 10 საათიდან.

✦ ლევ. ციციშვილის დასაფლავება. 13 თებერვალს დაასაფლავ[...] ამას წინად ვერაგულად მოკლულ[...] ლევან ციციშვილის ნეშტი. მოკლ[...]ლის სახლთან შეიკრიბა ოთხი სო[...] გლეხობა, გაიმართა მიტინ[...] დაახასიათეს განსვენებული[...] მოღვაწეობა სოფლად ზიზღ[...] ლვა შეუთვალეს სოფლის ბნელ[...] ლებს და ფიცი დასდეს განსვენ[...]ლის სამარესთან, რომ აღმო[...] მკვლელებს და სოფელი თვი[...] გასცემს შესაფერ პასუხს.

✦ „ძმური ნუგეში" დღეს [...] ძმურ ნუგეშში 9 საათიდან გ[...] თება საღამო კაბარე. შესვლ[...] ფასი 2 მან. და 50 კ.

✦ პროვოკატორის მოკვლა 14 [...]ბერვალს მე-7 უბნის მილიციო[...] კახელაშვილმა შეიპყრო პროვოკა[...] ანარქისტი საშა ვართანოვი. ღამ[...] საათზე ოქმით მორიგე მილიციო[...] გაგზავნა მილიციის უფროსთან. [...]ში ვართანოვი მილიციონერებს [...] ხლტა ხელიდან და გაიქცა, მ[...] მილიციონერებმა იგი მოჰკლეს [...] წაიღეს მიხაილოვის საავადმყოფ[...]

✦ საპროფესიო კავშირთა ს[...] ამოირჩია წარმომადგენლად [...] ვეტოლოგიის ინსტიტუტის დ[...] სებელ კომისიაში. ამხ. ა[...]

✦ უმუშევრობა. ბაქოდან [...] ბიან, რომ იქ ამ ჟამად 600[...]

ლითონზე მომუშავე უმუშავარია.

✦ ექ. მახვილაძე ტფილისის ქალაქისა თვითმართველობამ სატრავმატოლოგიო ინსტიტუტის დამაარსებელ კომისიაში აირჩია.

✦ მილიციის უფროსის ბრძანება. 11 თებერვლის თარიღით: § 4. წინადადებას ვაძლევ ყველა კომისარს მიიღონ სასტიკი ზომები, რათა სახლის პატრონებმა და მეეზოვეებმა თავის დროზე დაჰგავონ და დაასუფთაონ ქუჩები. ჩემდამი რწმუნებულ მილიციის ყველა მოსამსახურეებს ევალებათ ამ განკარგულების ასრულებას თვალყური ადევნონ და დამნაშავეებზე შეადგინონ ოქმები, რომელნიც მე უნდა წარმომიდგინოს საადმინისტრაციო დასჯარიმებისათვის. § 5. მე შევნიშნე რომ ამ ბოლო დროს მეეზოვეებმა არა თუ ზედმეტ ფასს ახდევინებდნენ, ხშირად უხეშად და ტლანქად შეურაცხყოფენ მოქალაქეებს. ვაფრთხილებ, რომ დამნაშავეთ ადმინისტრატიული წესით დავსჯი ვიდრე მეეტლეობის აკრძალვამდე. წინადადებას ვაძლევ მილიციის მსახურთ მოქალაქეებს დაეხმარნენ, ხოლო მაღლა აშლილ მეეტლებზე ოქმები შეადგინონ და ჩემთან გაგზავნონ. გარდა ამისა იმათ, ვინც მილიციას ვერ მოიხმარებს, ვსთხოვ ჩაიწერონ ეტლის ნომრები და საჩივრით მე მომმართონ.

✦ რკინის გზებზე ქართველ მოსამსახურეთა კრება. კვირას, 18 თებერვალს, ქართული კლუბის დარბაზში, დილის 11 საათზე შესდგება ამიერკავკასიის რკ. გზის სამმართველოს, ლიანდაგის და კახეთის რკინის გზის ქართველ მოსამსახურეთა შეერთებული კრება, ეს კრება ვერ შესდგა 11 თებერვალს ლიანდაგიდან საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. კრება კანონიერი იქნება რამდენიც უნდა დაესწროს, განსახილველი საგნებია: 1. მომენტი და ტაქტიკა, 2. რკინის გზებზე ქართველ მოსამსახურეთა კავშირი, 3. წესდების განხილვა და 4. კავშირის საბჭოს წევრთა არჩევნები.

✦ † დათიკო ჯაფარიძე. ფრიად სამწუხარო ამბავი გვამცნეს ქ. ხაშურიდან ჩამოსულ ამხანაგებმა: 15 თებერვალს, დილით სახალხო მატარებელი რომ დანძრეულა, გადმოვარდნილა და წამსვე გამოსალმებია წუთის სოფელს ჩვენი პარტიული ახალგაზრდა ამხანაგი, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის ეხლა ხანს კურს დამთავრებული, დათიკო ჯაფარიძე. განსვენებული ამხანაგი ქ. ტფილისს თავის პოლკში მოდიოდა. დღეს მისი ახლო მეგობრები მიემგზავრებიან ქ. ხაშურს, რათა უკანასკნელად გამოეთხოვონ საყვარელი ამხანაგის უდროოდ დაკარგულ გვამს.

✦ ქალთა ყრილობა. კვირას 18 თებერვალს ნაშუადღევის ოთხ საათზე „ნაკადულის“ რედაქციაში სრულიად საქართველოს ქალთა ყრილობის პრეზიდიუმის კრება შესდგება. იმავე დღეს, იქვე მთელი ბიუროს კრება შესდგება 6 საათზედ. მორიგი საკითხი: ყრილობის პროექტის შემუშავება და სხვა.

✦ სტუდენტების კრება. ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა დროებითი საორგანიზაციო ბიუროს პრეზიდიუმი ამით აუწყებს ამხ. სტუდენტებსა და მსმენელებს რომ დღეს შაბათს ლექციების შემდეგ დანიშნულია უნივ. სტუდენტთა და მსმენელთა საზოგადო კრება. კრების საგანია ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის წესდების პროექტის განხილვა და გამგეობის არჩევნები.

# საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ს.-ფედ. პარტიის მთავარ კლუბში დანიშნულია სოც.-ფედერალისტ მუშათა კავშირის გამგეობის მორიგი კრება სხვა და სხვა მიმდინარე კითხვების გასარჩევად.

— ს. ფედ. ქალების კრება. დღეს, საღამოს 6 საათზე, ქალთა კურსების ბინაზე დანიშნულია კურსების მსმენელ ს.-ფედერალისტ ქალების კრება. ამხანაგებს ვთხოვთ უთუოდ დაესწრონ, რადგანაც განსახილველია საგულისხმიერო საგანი.

— ფარმაცევტების კრება. კვირას, 18 თებერვალს, დილის 10 საათზე პარტიულ კლუბში მოხდება სოციალისტ-ფედერალისტ ფარმაცევტთა საერთო კრება. ვთხოვთ ამხანაგებს არ დაიგვიანონ.

ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტთა საერთო კრება. კვირას, 19 თებერვალს დილის 11 საათზე დანიშნულია ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა (მოწაფეთა, სტუდენტთა და მუშათა) საერთო კრება, სოც.-ფედ. კლუბის დარბაზში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1). ამხანაგებს ვსთხოვთ უეჭველად დაესწრნენ, რადგან განსახილველია ფრიად სერიოზული საკითხები.

# ეროვნული საბჭო

ორ თებერვალს ს. ოკაძის კოოპერატივის საზოგადო ყრილობამ ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის ი. გ. მიქაძის წინადადებით შესწირა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ასი მანეთი.

# ამიერკავკასიის სეიმი

მეხამე სხდომა. 15 თებერვალი.

სხდომა იხსნება დილის 11, 25 წ. სეიმის თავმჯდომარის კ. ჩხეიძის, მიერ რომელიც სეიმს მოახსენებს, რომ საზავო კომისიამ თავის მუშაობა ვერ დამთავრა და ამიტომ დღეს მის წინაშე ვერ წარსდგება, რისგამო სეიმს მოხსენდება სხვა და სხვა ფრაქციათა დეკლარაციები.

სეიმი ასეთ წესრიგს იღებს. პირველად ლაპარაკობს ნ. ჟორდანია, რომელსაც მარცხენა სექტორი სეიმისა და განსაკუთრებით გარეშე საზოგადოება ოვაციებით ეგებება.

მოქალაქე წევრნო სეიმისავ!—ასე დაიწყო თავის სიტყვა ჟორდანიამ— სოციალ დემოკრატიულ პარტიის მენშევიკურ ფრაქციის და მუსულმანურ სოც.-დემ. პარტიის „გუმეტის“ დავალებით მოგახსენებთ შემდეგს: თქვენ იცით, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატი სამსახურიდან გადადგა და რომ ჩვენ ეს შევიწყნარეთ, მაშასადამე, დაიბადა საჭიროება ახალ მთავრობის შექმნისა. ხოლო რომ ასეთი მთავრობა დაარსდეს, საჭიროა მას მივცეთ რაიმე სახელმძღვანელო აზრები და ამიტომ ვფიქრობთ, რომ ის დეკლარაციები, რომელთაც აქ განვაცხადებთ, შეჰქმნიან მთავრობის პროგრამას, დაახლოებით მოჰხაზავენ მომავალ მთავრობის მოქმედება მოღვაწეობას.

ყოველ ფრაქციას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი შეხედულებანი და სახელმძღვანელო აზრები. მაგრამ დღეს დღეობით დემოკრატიას ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი ახასიათებს და ორ ბანაკად დაიყო. ერთი ბოლშევიკური, მეორე არა ბოლშევიკური, რომელსაც დემოკრატიის დანარჩენი ნაწილი მისდევს და რომელიც სრულიადაც არ ჰფიქრობს ეხლავე სოციალ რევოლიუციის მოხდენას.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენი რევოლიუცია თავის მიზნებით და შინაარსით სრულიადაც არ არის კაპიტალიზმის გარეშე მდგომი და წარმოშობილი მოვლენა და ვაიბობთ, რომ დღევანდელი რევოლიუცია არსებითად არ არყევს ბურჟუაზიულ საზოგადოების საფუძველს. ჩვენ, რა თქმა უნდა გულწრფელად მოსურნენი ვართ, რომ ამ რევოლიუციამ წალეკოს ბურჟუაზიული საზოგადოება და წესწყობილება, მაგრამ ძირი რევოლიუციისა მარხია არა ჩვენ სურვილებში, არამედ ობიექტიურ პირობებში. იმ დრომ, როდესაც მეცნიერებს ეგონათ რომ მოწადინებით შეიძლება ყოველგვარ წესიერების შეცვლება ჩაილულის წყალი დალია. საზოგადოებრივობის მეცნიერებამ გვასწავლა, რომ რევოლიუცია საჭიროებს არა მარტო სუბიექტურ შესაძლებლობას, არამედ ობიექტურ პირობებსაც. ჩვენ ეხლა ვიცით თანდათანობითი ზრდა საზოგადოების წესიერებისა და რომ ძველის წიაღიდან წარმოსდინდება ახალი წესწყობილება. ვიცით, რომ პირველ საფეხურიდან მესამეს პირდაპირ ვერ გადავაბიჯებთ, თუ მეორე არ განვლეთ. მართალია, ძალას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თუ ობიექტიური პირობები ხელს არ გვიწყობენ, ვერავითარ ძალით თქვენ ვერას მიიღებთ, და თუ ავხირდებით ამ პირობათა წინააღმდეგ, ჩვენ მივიღებთ არა რევოლიუციას, არამედ რეაქციას.

მეცხრამეტე საუკუნის რევოლიუციების დროს მუშათა კლასს ჰქონდა საშუალება დიდი ძალა შეექმნა. მაგრამ რაკი პირობები ხელს უცარავდნენ, მან ვერ შესძლო ყველა სოციალურ მოთხოვნილებისათვის სინამდვილის ხორცი შეესხა.

ამისათვის დემოკრატიამ თავის მიზნად მარტო ის უნდა დაისახოს, რასაც ის განახორციელებს ძალთა ახალ განწყობილების გამო. მაგრამ თუ იგი იმოქმედებს წინააღმდეგ ამ შესაძლებლობათა, რომელთაც რევოლიუცია იძლევა, ჩვენ მაშინ მივიღებთ სოციალურ რეაქციას, საზოგადოებრივად მეურნეობის დაშლას და დარბევას.

ჩვენ, მენშევიკები, ყოველთვის ვფიქრობდით და ეხლაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს რევოლიუცია კაპიტალს კი არ მოსპობს ან შრომას, არამედ გაანთავისუფლებს ამ შრომას, შეჰქმნის მისთვის უფრო თავისუფალ პირობებს.

გამოვდიოდით-რა ამ მოსაზრებიდან ჩვენც და ჩვენი ფრაქციული ამხანაგებიც მოიმედენი ვიყავით იმისა, რომ ეს საკითხები გადაწყდებოდა სრულიად რუსეთის მასშტაბით. მაგრამ ეს გზა მოგვესპო. წარსულ ოქტომბერში ბოლშევიკების გამოსვლამ მოახდინა ის მარტო, რომ გაიმარჯვა არა მენშევიზმის, არამედ ბოლშევიზმის იდეამ, ე. ი. იდეამ იმისამ, რომ ეს რევოლიუცია არის სოციალური რევოლიუცია. ამავე გამოსვლას წყალობით დიდი რუსეთი წვრილ ერთეულებად დაიყო, სხვა ოლქთა შორის ამიერკავკასიაც მოსწყდა მას და თავის საკუთარ ძალღონეს ანაბარად დარჩა.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ერთი იმედით ვსულდგმულობდით, რომ აი მალე შევერთდებით რუსეთის დემოკრატიასთან და მასთან ერთად დამფუძნებელ კრებაზე შევქმნიდით ეკონომიურად და პოლიტიკურად სრულიად რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას. მაგრამ ეს ოცნებაც— უნდა გამოვტყდეთ—ძალიან ნაკლებ იმედს იძლევა განხორციელებისა.

ზავმა, იმ სამარცხვინო ზავმა, რომელსაც ბოლშევიკები ჰკრავენ და რომელიც ეკონომიურ მონობას უმზადებს რუსეთს, ჩვენ ამ უკანასკნელთან უფრო დაგვაშორა.

ასეთმა ვითარებამ დაჰბადა საჭიროება და აუცილებლობა ჩვენის პატარა ქვეყანისგან შევქმნათ უფლებიანი რესპუბლიკა ამიერკავკასიისა ეხლა არც ის შეგვიძლიან, რომ მოვუცადოთ იმ დროს, როცა ყველაფერი გამოირკვევა. თუ წინად ჩვენ ვფიქრობდით, რომ სეიმს ექნება საკანონმდებლო ფუნქციები, ეხლა ვამბობთ, რომ სეიმი კანონმდებლობს. იგი სწყვეტს და არკვევს ყველა საკითხს ჩვენის საზოგადოებრივ პოლიტიკო და ეკონომიო ცხოვრებისას.

მაგრამ რომ ეს შევსძლოთ საჭიროა გარეშე საზღვრებით უზრუნველყოფილნი ვიყვნეთ, ე. ი. საჭიროა ზავი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ისეთს ზავს, როგორსაც ბოლშევიკები გვპირდებიან, ჩვენ ხელს არ მოვაწერთ. ჩვენთვის უმჯობესია მაშინ დავიხოცნეთ, ვიდრე მივცეთ ჩვენი თავი სამუდამო წყევლა-კრულვას ჩამომავლობისას.

თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენში მეტადრე მაზრებში დღითი-დღე იზრდება ანარქია, ექსცესები თანდათან ხშირდება. და უნდა ითქვას, რომ როცა ხალხოსნური მოძრაობა იწყება, ამ მოძრაობაში დამნაშავეა არა ხალხი, არამედ ის, ვინც მის სათავეში სდგებოდა მის ნება-სურვილებს ალღოს ვერ აირთმევს.

მალე რევოლიუციის წლის თავი იქნება, მაგრამ ჩვენი ხალხი ჯერაც ვერ ღირსებია აგრარულ საკითხის გადაჭრას. ჩვენ გვაქვს გამოცემული დეკრეტი ამ მიწის საკითხის თაობაზე, მაგრამ იგი ქაღალდზე დარჩა და ცხოვრებაში ვერ გატარდა. და თუ ჩვენ ამ კითხვას მალე არ გადავსჭრით, შეიძლება ამ ანარქიამ ჩვენც წაგვლეკოს.

შემდეგი ძირითადი საკითხი, საკითხი მეტად რთული, არის მუშათა საკითხი, რთული საკითხი მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ იგი ეხება არა მარტო მუშებს, არამედ თვითონ მთავრობასაც. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე თვითონ მუშებში ბოლშევიკური მიდრეკილება მეტად გავრცელებულია. მეხშევიკი მუშებიც კი ბოლშევიკურად ბჭობენ. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ მუშებიც საკმარისად იქნებიან უზრუნველყოფილნი და წარმოებაც ზრდა განვითარებას დაადგება. მაგრამ კაპიტალიზმის ხანაში ორივე ე თად მოუთავსებელია, ან კაპიტალი იქნება მძლე და თანდათან განვითარდება და მაშასადამე, მუშას დაიქვემდებარებს ან მუშები იქნებიან სათავეში და მაშინ კაპიტალი ნელნელა დაეცემა, წარმოება, მრეწველობა მოისპობა და მთელი ჩვენი პოლიტიკა მუშათა საკითხში, როგორც ყოველთვის, ამ გზით უნდა წავმართოთ: იმ ბრძოლას, კაპიტალსა და შრომის შუა რომ გაჩუღდება სწარმოებს სწორი და ნორმალური მიმართულება. თუ ამას შევსძლებთ, მაშინ თავიდან ავიცილებთ წარმოებასა და მრეწველობაში შესაძლებელს და მოსალოდნელს ანარქიას.

საპოლიტიკო სფეროში პირველი საკითხი ისაა; თუ როგორი დამოკიდებულება გვექნება რუსეთის ცენტრთან ეს კითხვა გარემოებათა ნებით მოხსნილია. ჩვენ აბსოლიუტიურად არა ვიცით-რა, რა მოგველის ერთის წლის მერე, თუნდ ნახევარ წლის შემდეგ? ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არ არის: ეს კია, რომ ჩვენ იმ თავითვე რუსეთისკენ მივილტვოდით, მაგრამ ის სულ გვშორდება და გვშორდება, ხოლო ჩვენ მას ველარ ვეწევით.

მაგრამ აის მეორე საკითხი, შინაური, ძალიან მნიშვნელოვანი და რთული. ეს ეროვნული საკითხია. არავის არ შეუძლიან სთქვას, რომ იგი არ არსებობს. რაკი რევოლიუცია ყრებს ანიჭებს უფლებას თვითგამორკვევისას თავისთავად იგულისხმება, რომ ეს თვითგამორკვევა იქნება ეროვნული და ეროვნულ ფორმაში ჩამოყალიბდება. ჩვენს ამიერკავკასიაში ბევრი ერი მოსახლეობს და თვითეულ მათგანს აქვს მეორისაგან განსხვავებული კულტურა და ეკონომიკა. ყველას უნდა მიენიჭოს ისეთი თვითმართველობა, რომელიც არცერთ ერისათვის არ იქნება შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი.

რა საფუძველით უნდა გადავჭრათ ეს კითხვა. არის ერთი საფუძველი, ერთი ფუძისი. ეს არის ერთა თანასწორობა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ საკითხის გადაჭრის დროს. რომ რომელიმე პარტიამ გინდა ერმა წარმოადგინოს ისეთი მოთხოვნილებანი, როგორიც სჩვევია უპირატეს ერს თუ სახელმწიფოებრივ ნაციას, მაშინ ჩვენ საერთაშორისო ზავი, ზავი მეზობლური აღარ გვექნება, რადგან ასეთი მოთხოვნილებანი ძალიანად არღვევენ თანასწორობის პრინციპს. ამიტომ, ვხელმძღვანელობთ-რა ამ პრინციპით, მოვითხოვთ ამიერკავკასიის ერები ისე იყვნენ განმჯნულნი, რომ ერთმანეთს არ უშლიდნენ, პირიქით, ჰქონდეთ კეთილმეზობლური განწყობილება და ხელი შეუწყოთ დაადგნენ გზას კულტურისას და ცივილიზაციისას.

თავის თავად იგულისხმება, რომ ერს თვითმართველობისა და თვითგამგეობისათვის, ესაჭიროება ტერიტორია. არც ერთი ერი მარტოდ არ მოსახლეობს გარკვეულ მიწა-წყალზე. ყველგან არიან, თუმცა მცირედ, სხვა ერის წარმომადგენელნი. ხან ეს შერეული მოსახლეობა მეტად დიდია. მაშასადამე, განსაზღვრულ მიწა წყალზე არის უმრავლესობა და უმცირესობა ამა თუ იმ ერისა. ამ რიგად ამიერკავკასიის ტერიტორიისგან უნდა გამოიჭრას რამდენიმე ეროვნულ-ტერიტორიალური ერთეული.

სამი საკითხი—ზავისა, მიწისა და ეროვნული ძირითადი საკითხებია, მაგრამ არის კიდევ მნიშვნელოვანი და მეორე ხარისხოვანი საკითხები. ეს არის ფინანსები და მართვა-გამგებლობა.

ფინანსიური საკითხი დაკავშირებულია ქვეყნის საერთო ალღოთი. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ღონე, რომ ფინანსიური საკითხი ჯეროვან სიმაღლეზე იქმნას დაყენებული. ამისათვის უნდა გადავჭრათ ერთი ძირითადი საკითხი—გაძლიერდეს ფულის ტრიალი სახელმწიფოსა და ხალხის შუა. ჩვენ მეტად ბევრი ფულის ნიშანი მოგვეპოვება, მაგრამ სახელმწიფო ბანკები ცალიერია. რომ ეს ქაღალდი ჩავიგდოთ ხალხისგან, უნდა რაიმე ღონე ვიხმაროთ. სეიმმა უნდა დააწესოს მონოპოლია პირველ საჭიროების საგნებზე (პური, ნავთი, შაქარი) ან და მოახდინოს ზოგიერთის ნაციონალიზაცია, უნდა გადაასინჯოს ტარიფების და ხარჯთ ბეგარათა სისტემა. ამის განსახორციელებლად ყველა კერძო ბანკი შეერთდეს ერთ სინდიკატად და დაემქვემდებაროს სახელმწიფო ბანკის კონტროლს. ადგილობრივვე უნდა მოიჭრას ფული და ზომები მიღებულ იქმნას, რათა მანეთის ფასმა აიწიოს და არსებული ქაღალდის ფული ქონებით უზრუნველვყოთ, ეკლესიებს, მონასტრებს, სახელმწიფო და საუფლისწულო მამულებს ჩამოერთვას ის დიდძალი ოქრო ვერცხლი, რომელიც მათ მოეპოვებათ. ამ მხრივ, რაც რევოლიუცია დაიწყო არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა.

აღსანიშნავია ამ მხრივ ისიც, რომ ნიკოლოზ მეორის დროს არსებული დაწესებულებანი ეხლა არსებობენ, მათ ახალი ორგანოები მიემართათ. ზოგიერთი ისეთი ძველი დაწესებულება, რომელსაც არავითარი უფლება არ აქვს არსებობისა. ამიტომ ისინი უნდა დაიხურონ, ხოლო ჩინოვნიკები დათხოვნილ იქმნან. გარდა ამისა უნდა მიეღოთ ზომები, რომ ახალ დაწესებულებებში შტატები შემცირებულ იქმნას (ხმები: სწორია!) ერთი სიტყვით უნდა იაფი მთავრობა შეიქმნას. (ტაში).

ორიოდე სიტყვა ეროვნულ ნაწილებზე. ჩვენ ბევრი ეროვნული ჯარი გვყავს, ბევრი შტაბი და პატრონ-უფროსი, მაგრამ მთავრობას კი ძალა არა აქვს, რომ მთავრობას ჰქონდეს საშუალება განაგებდეს თუნდა ერთ პატარა რაზმს, საჭიროა ყველა არსებული ეროვნული ნაწილები დაექვემდებაროს სეიმს და მაშინ მთავრობის ძალაც იმატებს, გაიზრდება.

რა არის ეროვნული ჯარი? ერთსა და იმავე მიწა წყალზე არის სხვა და სხვა ეროვნული ჯარები. ასეთ ეროვნულ ჯარს ჩვენ არ ვიცნობთ. ჩვენ უნდა გვყავდეს ტერიტორიალური ჯარი (დიდი ტაში). გარდა ამისა ჩვენ უნდა ვ სწრაფოდეთ, რომ ეს ჯარი მუდმივი არ იქნეს, რადგან დემოკრატია ვერ შეურიგდება მუდმივ ჯარს. პირიქით, ჩვენ უნდა შევქმნათ სახალხო მილიცია, როგორც ეს არის თავისუფალ ქვეყნებში, მაგალითად, ამერიკასა და შვეიცარიაში. მაშასადამე ჩვენ უნდა დავადგეთ ამ გზას: დავითხოვოთ მუდმივი ჯარი და სახალხო მილიციაზე გადავიდეთ.

ჩვენ არ ვიცით რა მოგველის ცენტრიდან. რეაქცია, სასტიკი უსასტიკესი, ყველაზე უფრო მოსალოდნელია ეხლანდელი ბოლშევიკური ანარქია ერთგულად ჰკვეთავს სწორედ ამ რეაქციას.

მე მოუწოდებ სეიმს დაადგეს იგი იმ გზას, რომელსაც ჩვენ ვუჩვენებთ, მიიღოს სახელმძღვანელოდ წარმოდგენილი პროგრამა და შექმნას ისეთი მთავრობა, რომელიც ამ გზას დაადგება და დაიხსნის ქვეყანას ანარქიისა და დაღუპვისგან. (ძლიერი ტაში).

ამავე „მუსავატის“ ფრაქციის და უპარტიო მუსულმანთა სახელით მიესალმება სეიმს და დეკლარაციაში შეცდება აზრებს გამოსთქვამს: ამიერკავკასიის სეიმი უფლებამოსილი ორგანოა, იგი ჩვენი დამფუძნებელი კრებაა. ამიტომ მან უნდა გადაწყვიტოს ყველა მტკივნეული და სადავო საკითხი. ასეთი საკითხია პირველ ყოვლისა ზავის საკითხი, შემდეგ მიწისა, მუშათა, ეროვნული და მთელი რიგი დანარჩენ საკითხებისა. ზავი ეს ისეთი პირობაა, უომლისოდ არაფერი არც გადასწყდება, არც განხორციელდება. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ უმოვლდ და დამყარებულ იქმნას დემოკრატიული ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ცალკე ერთ ერებათა თვითგამორკვევის უფლებით.

მიწის საკითხი უნდა მიწის მუშის ინტერესების და მიხედვით გადაწყდეს, მას უსასყიდლოდ უნდა მიეცეს მიწა. (ოვაციები). ამავე დროს დაწესებული უნდა იყოს მიწის საფლობელობის მაქსიმუმი.

ეროვნულ საკითხში ჩვენ მოვითხოვთ სრული მეგობრულს და კეთილს განწყობილებას ჩვენ მეზობლებთან. ამასთანავე აღვიარებთ უმცირესობის უფლებათა უზრუნველყოფის პრინციპს, მაგრამ მოვითხოვთ ამასთავე უზრუნველყოფას იქ, სადაც ჩვენ უმცირესობა ვართ. ადერბეიჯანის ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია შეადგენს ჩვენს მიზანს.

სეიმი, ჩვენ იმედი გვაქვს, ანგარიშს გაუწევს ეროვნულ ძალთა რეალურ განწყობილებას და ამის და მიხედვით შექმნის მთავრობას. სიტყვა შეთანხმებისა და ურთიერთ დამოკიდებულება უნდა იყოს ფაქტიურად ჩვენი ურთიერთობისა ქვეყნის და ისე შეიქმნას მთავრობა.

ამიერკავკასიის მთავრობა არ უნდა ფიქრობდეს საგარეო საქმეებში ჩარევას ისევე, როგორც ის არ გულისხმობს სხვის ჩარევას თავის შინაურ საქმეებში. მთავრობა უნდა პასუხისმგებელი იყოს მარტო სეიმის წინაშე, ხოლო საეროო ორგანიზაციები უნდა შემოღებულ იქნას ყველგან ამიერკავკასიაში.

საჭიროა ძალა არა მოქალაქობრივი მარტო, არამედ სამხედროც. ამიერკავკასიის თურქები უნდობლობას ხედავდნენ არა მარტო ნიკოლოზის მთავრობისაგან, არამედ კერენსკის მთავრობის მხრივაც. დღეს კი თუ ასეთ უნდობლობას არ ვხედავთ, დემოკრატიული მთავრობა მაინც საკმარის ყურადღებას არ გვაქცევდა. ამას ჩვენ ვხსნით გარეშე ზეგავლენით მთავრობაზე, მაგ., ეროვნულ ნაწილების შექმნის საქმეში.

რაც შეეხება სამუსლიმო საკითხს, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ მდიდარი და მოსავლიანი ქვეყანა სიმშილით არა სწყდებოდეს. ამისათვის უნდა გამოყენებულ იქმნას ის ფარები ლი სიმდიდრე, რომელიც დღეს უქმად სძევს. სამშენი ხანდახან თავისებურად გადასწყვეტს ხოლო საქმის და ჩვენ მოუწოდებთ სეიმს სასურსათო დაწესებულებათა სრული რეორგანიზაცია მოახდინოს.

ამიერკავკასიის დემოკრატია ჩვენ ისე გვეპყრობა, როგორც ... იმედს, რომელიც მას შერჩენია. რომ ეს იმედი არ გავუცრუვოთ მას, საჭიროა ჩვენ ერთმანეთს ძმური ხელი გავუწოდოთ და შევქმნათ ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა. (ტაში).

(შემდეგი იქნება)

# მუშათა წერილები

ჩვენი ქართველი ერი თავიდანვე ტრაღედიას განიცდის, მაგრამ დღევანდელი ხანა განსაკუთრებით მძიმეა მას შემდეგ, რაც რუსეთის ბიუროკრატიული წეს-წყობილება დაინგრა, დაიმალა, ახალმა იწყო შენება ძველის ნანგრევებზე, დაჩაგრულმა ერებმაც თავისუფლად მოინდომეს ამოსუნთქვა. მათ შორის ჩვენი საქართველოც ახლად უნდა აღორძინდეს, მონობის ბორკილი ჯერ კიდევ არ გვცვივა მთლად. ამისთვის კი ბრძოლა გვჭირდება ძმათაო, ვინც ჩვენ სამშობლოს ახალ ხელს შეუშლის განახლებაში.

დღეს დადგა საკითხი ქართველი ერის ყოფნა არ ყოფნისა, უკანასკნელად კიდევ უნდა შევაჭიროთ სხვაპლად ჩვენი ერის კეთილდღეობას. ქართველი მუშები, ქართველი გულის პატრონები, არც სულიერად, არც ფიზიკურად არ დაეცემიან მტრის წინაშე. ახოლოდ საჭიროა კარგი გამოცდილი ხელმძღვანელი, არა ისეთი როგორც სოც.-დემ. მენშევიკები დაიბადენ საქართველოსთვის. ყველამ იცის, თუ რამდენად გაამართლა ცხოვრებამ და რევოლიუციამ მათი პროგრამა. შეიძლება, რამდენიმე თავდადებული პიროვნება რომ არ ყოფილიყო, საქართველოს საკითხი საფუძვლიანად დაიმარხებოდა.

მაგრამ გვყავდა და გვყავს კიდევ ქართველი რევოლიუციონური სულით გაჟღენთილი ადამიანები, რომელნიც დღესაც ქართველი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. აწარმოებდნენ, მის ფიქრში ხშირად თავზე ათენებოდათ, რომელნიც ცეცხლის კოცონით იწოდნენ. ხოლო ... ენას ჩაგონებათ ... ? ... დღეებში ტალახი, გუდა, ... სიტყვები... დროა, ქართველო ... თავი ვიცნოთ, დავიმახსოვროთ, ფრაგები შევკრათ. იმ ჭმინდა ... დროშის ქვეშ, რომელსაც წინ უძღვის ქართველი თავდადებული სოციალისტ-ფედერალისტი და აწყურია ქართველი მშრომელი ხალხის თავისუფლება, თავისუფალი ეროვნება და ერების კავშირი, ჩვენი წინაპრები ბრძოლაში იყვნენ ... ჩვენც ... ? ჩვენ თუ იქნება ... ურთიერთ ... თანაგრძნობა, ერთმანეთის ... სიყვარულით, მაშინ ... ... ... კიდევ ვერ მოგვერევიან!

დრო კი არის ამხანაგებო! ნუღარ დავაგვიანებთ!..

მუშა ეხვევი კველიშვილი.

# მიწის საკითხი

(დასასრული *)

სახელმწიფო ჩამოართმეულთა სატყეო მასალაზე მოთხოვნილება უკანასკნელ ხანებში სახაზინო ტყეები ... მასალების უფასოთ ... კმაყოფილდებოდა. სატყეო მასალების ... წესი, ე. ი. ... თუ რამდენი უნდა ... გლეხს, ... დიდი ხანი და ... ... ამიტომ ... ... ... კმაყოფილდებოდა; ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... 1,286 სოფელი, სადაც 87,326 კომლი ... ცხოვრებდა, ე. ი. 603,559 სული. ... სახელმწიფო ჩამოართმეული ... ... სახაზინო ტყეები ... ... სარგებლობს, ყველა ... მოსახლეობის 37 პროცენტი ... ... ... 65 პროცენტი ... ... ... ... სახელმწიფო გლეხები, რომლებიც ტყეს ... ... სარგებლობენ, ... ... განჯის ... სოფელი, ... სახელმწიფო გლეხთა რიცხვი 56,2 პროცენტი; ტფილისის გუბერნიაში—473 სოფელი—50,5 პროც.; ქუთაისის გუბერნიაში—99 სოფელი, 18,3 პროცენტს გუბერნიაში—117 სოფ., 14,8 პროც.; სატყეო მასალის საერთო ...

*) იხ. „სახ. საქმე“ № 179.

